ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №134

22 მაისი 2013 წ.

ა.(ა).ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლასათვის“ (ს/კ-242008769) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გადაეცეს ა.(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას“ (ს/კ-242008769) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება დანართის მიხედვით, საერთო ღირებულებით-39 496.23(ოცდაცხრამეტი ათას ოთხასოთხმოცდათექვსმეტი და ოცდასამი) ლარი.
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს, გადაცემული ქონების ა.(ა).ი.პ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის“ (ს/კ-242008769) წესდების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.
4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.

5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა № 4
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ა.(ა).ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას“ (ს/კ-242008769) 2013 წლის 8 მაისის N19 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე
ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი ედიშერ ჯიბუტი

დანართი

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ფართობი (კვ.მ)	მიწის ღირებულება (ლარი)	ღირებულება	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*
1	შენობა-ნაგებობა	დ. ჩოხატაური ჭავჭავაძის ქ. N9	893	10716	21851	28,01,21,185	
2	162 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	დ. ჩოხატაური გურიის ქ. N1	თანასაკუთრება		6929,23	28,01,21,078,01,501	
				10 716	**28 780,23**		
	სულ:			**39 496,23**			